საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/65

30 აგვისტო 2017 წ.

ქ. ბათუმი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 5 ივლისის №01-08/52 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“–ს, „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, „2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 ივლისის №51 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 5 ივლისის №01-08/52 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ,
1.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) დოკუმენტაციის მიღება---2017 წლის 24, 25, 28, 29, 30, 31 აგვისტოს ჩათვლით.“

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების აღსრულების კოორდინირება.

3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს კოდიფიცირებული ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება და განცხადების გრაფაში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

6.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში